რამაზ ქურდაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართველური ლექსიკა, როგორც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა და ქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანურ-ინგლისური ლექსიკონი

აბსტრაქტი

მოხსენებაში განხილულია ქართველური ენების: ქართულის, მეგრულის, ლაზურისა და სვანურის მნიშვნელობა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით. კერძოდ, ნათქვამია, რომ ქართველური ლექსიკა, ისევე, როგორც ზოგადად ლექსიკა, ასახავს ენობრივი კოლექტივის ყოფას, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ რეალობას, მატერიალურ და სულიერ კულტურას და ეროვნულ მსოფლმხედველობას. ზემოაღნიშნულის ილუსტრაციის მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია ქართულისა და სხვა ქართველური ენების ლექსიკის წარმოდგენა სინქრონულად, ერთ სიბრტყეზე, რაც უფრო თვალნათელს გახდის ამ ენათა გენეტიკურ ნათესაობას და იმ პრობლემატიკას, რაზედაც ზემოთ იყო საუბარი. ამ მიზნის შესასრულებლად გაჩნდა იდეა, რომ შექმნილიყო ლექსიკონი, რომელიც გააერთიანებდა ქართველურ ენათა ლექსიკას და წარმოგვიდგენდა მისივე თარგმანს ერთ-ერთ ევროპულ ენაზე. სწორედ ამიტომ შეიქმნა „ქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანურ-ინგლისური ლექსიკონი“, თბილისი, 2015. სტატიაში განხილულია ახლადგადმოცემული „ქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანურ-ინგლისური ლექსიკონის“ შედგენის მიზნები და ამოცანები, ასევე, ქართველური ენების მონაცემთა სისტემატიზაციის თეორიული საფუძვლები.

საკვანძო სიტყვები: *ქართველური, ლექსიკა, კულტურული მემკვიდრეობა, ლექსიკონი*

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ძალზე საინტერესო ფენომენია ენა. პიროვნების თვისებისა და მისწრაფების გამოხატულება, ასევე, მის მიერ გარემოს მსოფლაღქმა ხდება ენით, უფრო კონკრეტულად კი, ლექსიკის საშუალებით. ლექსიკა ენობრივი კოლექტივის ყოფის, ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეალობის, მატერიალური და სულიერი კულტურის ამსახველია. ამ მიმართებით ვერცერთი სხვა წყარო ვერ შეცვლის ლექსიკურ მონაცემებს.

სტატიაში არის ცდა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა წარმოჩნდეს ქართველური ლექსიკის მიხედვით. ქართველური ენები: ქართული, მეგრული, ლაზური, სვანური ძალზე საინტერესოა როგორც ლინგვისტური, ასევე სოციოლინგვისტური და სოციოკულტურული თვალსაზრისით. ქართველური ტომებისათვის სწავლა-განათლებისა და წირვა-ლოცვის ენა ქართულია, რომელსაც 16-საუკუნოვანი ისტორია აქვს. ქართველურ ენათა ამგვარი ურთიერთმიმართება და ფუნქციური გადანაწილება საუკუნეების განმავლობაში კრავდა და აერთიანებდა ქართველურ ტომებს, რადგან სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებაში დანარჩენი უმწერლო-

ბო ქართველური ენებიც მონაწილეობდნენ და ავსებდნენ ლექსიკურ ფონდს. პრაქტიკულად ეს იყო ქართველური ტომების ერთიანი ეროვნული მსოფლმხედველობის გამოხატულება.

ერთიანი ეროვნული ხაზის საილუსტრაციოდ შეიქმნა ხუთენოვანი ქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანურ-ინგლისური ლექსიკონი. ამ ლექსიკონის სიახლე და სპეციფიკურობა იმაში მდგომარეობს, რომ ლექსიკონში თარგმანის პრინციპით გაერთიანებულია ქართველური ენების ლექსიკა; ამგვარი მიდგომა აადვილებს, ერთი მხრივ, ამ ენათა გენეტიკური ერთიანობის აღქმას, ხოლო, მეორე მხრივ, სინქრონულ დონეზე ენის განვითარებისა თუ ენაში მიმდინარე ტენდენციების დინამიკური პროცესების წარმოჩენას. რაც ვლინდება როგორც ძირეულ, ასევე ნასესხებ ლექსიკაში. ხუთენოვან ლექსიკონში ქართველურ ენათა ლექსიკა განმარტებულია ინგლისურ ენაზე, უფრო ზუსტად, ქართული ინდექსის თარგმანია მოცემული ინგლისურ ენაზე, რაც უცხოეთში ქართული ენის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს სხვა უმწერლობო ქართველურ ენებთან ერთად.

ხუთენოვანი ლექსიკონის მომზადებისა და გამოცემის იდეა განხორციელდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ბაზაზე. ლექსიკონის გამოსაცემად მომზადებასა და თვით გამოცემაზე იზრუნეს შვეიცარიის საელჩომ საქართველოში და სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისმა.

ლექსიკონში მასალა დალაგდა შედგენის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, რაც შემდეგნაირად ჯგუფდება:

- **ძირითადი ლექსიკური ფონდი:** ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინები, ადამიანის სხეულის ნაწილები, ზედსართავი სახელები (მასში ერთიანდება ფერის აღმნიშვნელი ლექსიკა), რიცხვითი სახელები, ნაცვალსახელები, ადგილობრივი ფლორა და ფაუნა, ციურ მნათობთა სახელები, დროის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები - აქ შემოდის თვეების, კვირის დღეების, წლის დროებისა და ა. შ. დასახელებანი;
- **ყველაზე გავრცელებული** - *სიარულის, ქონა-ყოლის, ყოფნის, ჭამა-სმის* - აღმნიშვნელი **ზმნური ფორმები** და მათგან ნაწარმოები **მიმღეობები;**
- **ხილისა და ბოსტნეულის დასახელებები;**
- **რელიგიური ტერმინები;**
- **ყველა ჯგუფის ზმნიზედები** - *დროის, ადგილის და ა. შ.;*
- **სამეურნეო საქმიანობის** ამსახველი ლექსიკური ერთეულები და სხვა.

ამგვარი ლექსიკონის გამოცემის მიზანი, როგორც აღვნიშნეთ, არის:

- **საერთოქართველური მსოფლმხედველობის წარმოჩენა**
- **ენის (resp. ენების) განვითარების დინამიკის ჩვენება სინქრონულ დონეზე.**

როგორც ერთი, ისე მეორე მოვლენა, უპირველეს ყოვლისა, ლექსიკაში ვლინდება და ძირეულთან ერთად ნასესხებ ლექსიკასაც წარმოაჩენს. აქვე აღვნიშნავთ, რომ ლექსიკონში დიდი ხნის ნასესხობებთან, რომელთაც საუკუნეების

წინ შეავსეს ქართველურ ენათა ლექსიკური ფონდი, არ არის მითითებული წარმომავლობა. ასეთია მაგალითად, ბერძ. ***მოროს***, რომელიც მეგრულში ***ბოროს*** სახით დამკვიდრდა და *სულელს* ნიშნავს. ხოლო შედარებით ახალ ნასესხობებთან დასახელებულია გამსესხებელი ენა, მაშინაც კი, როცა ლექსემა უშუალოდ ამ ენის კუთვნილება არ არის. ასეთია მაგ. ლაზურში **ზამანი** *დრო*, რომელიც არაბულია და თურქულის გზით დამკვიდ-რდა ლაზურში. ამგვარი მითითებით ხაზს ვუსვამთ, უშუალოდ რომელი უცხო ენის გავლენას განიცდის ეს თუ ის ქართველური ენა.

ახლა დავუბრუნდეთ იმ საკითხს, ლექსიკის მიხედვით როგორ შეიძლება წარმოვაჩინოთ ქართველური ტომების ერთიანი მსოფლმხედველობა. ერთიანი მსოფლმხედველობის წარმოსაჩენად ავიღოთ ისეთი უნივერსალური მოვლენა, როგორიცაა **დროის** აღნიშვნა; იგი ადამიანის შემეცნების გამოხატულებაა, ამიტომ დროის დანაწევრება ხდება ციური სხეულების მოძრაობისა და გადა-ადგილების მიხედვით. ცხადია, ჩვენ არ შევუდგებით იმ შესიტყვებათა ანალიზს, რომლებიც ქართველურ ენებში ციურ მნათობთა მონაწილეობითაა შექმნილი და დროის ამა თუ იმ მონაკვეთს აღნიშნავენ; დავასახელებთ რამდენიმე ლექსიკურ ერთეულს, რომლებიც ქართველურ ენებში რეგულარულ ბგერათშესატყვისობას გვიჩ-ვენებს:

- ***ციურ მნათობთა სახელები:***

(1) ქართული **მზე,** მეგრული **ბჟა,** ლაზური **მჟურა, ბჟა,** სვანური **მიჟ** მეგრ. **ჟაშხა** (< ბჟაშ დღა),ზედმიწევნით **მზის დღე** = კვირა, კვირა დღე

ლაზ. **მჟაჩხა** (< *მჟაშ დღა), ზედმიწევნით **მზის დღე** = კვირა, კვირა დღე

სვან. **მიჟ-ლადეღ,** ზედმიწევნით **მზის დღე** = კვირა, კვირა დღე

(იხ. ხუთენოვანი ლექსიკონი, 2015, 146, 128; სარჯველაძე, ფენრიხი, 1990, 216-217).

(2) ქართ. **ცისკრის ვარსკვლავი,** მეგრ. **გუმათანე** (ზედმიწევნით გამთენებელი), ლაზ. **თანურა,** სვან. **მLრჰილ**

არც ის არის შემთხვევითი, რომ ქართველურ ენებში ერთი და იგივე ლექსი-კური ერთეული აღნიშნავს მთვარესა და თვეს, რადგან მთვარის ერთი მოქცევა 4 კვირა, ანუ ერთი თვეა, მაგალითად, ძველი ქართული *მ-**თოვ**-არე,* ახალი ქართული *მ-**თვ**-არე* და ძველი ქართული ***თთსე,*** ახალი ქართული ***თვე.*** უფრო მეტიც, მეგრულში ერთი და იგივე ლექსიკური ერთეული - ***თუთა*** - აღნიშნავს ორივეს: **თუთა** - 1. მთვარე, 2. თვე.

თვეების სახელწოდებები ქართველურ ენებში ძალზე საინტერესო ენობრივ სურათს გვიჩვენებს, რადგან აქ არის მოცემული სახელწოდებათა შერეული სისტემა; კერ-ძოდ, იკვეთება თვეების სახელწოდების 3 ფენა:

1. **რომაული**, რომელიც საერთოა ოთხივე ქართველური ენისთვის, რადგან შევიდა ქარ-თულიდან. ამის ასახვაა ცალკეულ თვეთა ერთნაირი დასახელება ყველა ქართველურ ენაში: მაგ., ქართულში: ***მარტი,*** მეგრულში ***მარტი,*** ლაზურში ***მარტი,*** სვანურში ***მარტი;*** ასევეა **აპრილი, მაისი**, **აგვისტო** და სხვა. ***შენიშვნა:*** *მეგრულისა და ლაზურისთვის დამახასიათებელია ნასესხებ ლექსიკურ ერთეულთა*

ფონეტიკური ტრანსფორმაცია; შდრ: მეგრული ***მესი,*** *რომელიც იგივე მაისია, ოღონდ ფონეტიკურად სახეცვლილი: მაისი>*მეისი>მეესი//მესი; ლაზურში აგვისტო მოცემულია შემდეგი ფორმების სახით:* ***აღუსთოზი/აღუსტე*** *(ა. თანდილავა, 2013, 40),* ***აგუსტე*** *(იქვე, 11).*

2. **ქრისტიანული დასახელების სახელწოდებები:** ქართული **გიორგობისთვე,** მეგრული **გერგებათუთა,** სვანური **გიორგობ /ლიგიერგი.**

შენიშვნა: *ქართულში ნოემბერი რომაული კალენდრის მიხედვითაა დამკვიდრებული, მეგრულსა და სვანურში მას მხოლოდ ქრისტოლოგიური ტერმინი შეესატყვისება, ხოლო ლაზურში-ხალხური ეტიმოლოგიის ლექსიკური ერთეული* ***მწილუა*** *(აღნიშნული მონაცემები იხ. ხუთენოვანი ლექსიკონი, 2015, 62; 175).* ***მწილუა*** *- მოსავლის მოწევა-დაბინავება; შდრ: მეგრული* ***მოწია*** *შემოდგომის აღსანიშნავად, რაც ეტიმოლოგიურად ასევე მოსავლის აღებას, ჭირნახულის დაბინავებას ნიშნავს.*

3. **ხალხური დასახელებანი.** უნდა აღინიშნოს, რომ სამეურნეო საქმიანობასთან არის დაკავშირებული. ქართული **ოქტომბრის** (იგივე ხალხური *ღვინობისთვის*) ლექსიკური ფარდი მეგრულში ***გიმათუთა,*** ლაზურშიში ***ტახუა,*** ზედმიწევნით ***ტეხვა,*** იგივე *სიმინდის ტეხვის თვე.* მეგრულ ***გიმათუთაში*** გამოიყოფა გიმუა-ღომის მარცვლის დაბინავების ამსახველი ლექსიკა. ცნობილია, ღომის მცენარე რამდენად იყო გავრცელებული სამეგრელოში და ოქტომბრის თვის სახელწოდებაც აქედან მოდის. უფრო მეტად მნიშვნელოვანია, რომ ეს სახელწოდება მყარად შენარჩუნებულ იქნა მას შემდეგაც, რაც ეს კულტურა გადავარდა.

ენის განვითარების დინამიკა ყველაზე კარგად ჩანს სხვა ენასთან ურთიერთობაში. ურთიერთგავლენა, როგორც წესი, ყველაზე მკაფიოდ ლექსიკაზე აისახება. დროთა განმავლობაში იცვლება საგნები და იცვლება ლექსიკური ერთეულები. ენა, ზოგადად, გავლენის გარეშე არ არსებობს. უმწერლობო ენაც განიცდის როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე ენების გავლენას და ამაში უჩვეულო არაფერია.

რაც შეეხება უცხო სიტყვათა კვალს ქართველურ ენებში, ცნობილია, რომ მაგიდის მსგავსი საგანი ქართულ სინამდვილეში გახლდათ ძველქართული **ტაბლა**, რომლის ლექსიკური ფარდია მეგრული ***ტაბაკი,*** სვანური **gLრჯNბ**, ფიჩქ, სვანურში გვხვდება რუსული სიტყვაც: ***სტოლ.***

რას გვიჩვენებს ენის განვითარების დინამიკა? ქართულში *ტაბლას* ჩაენაცვლა *მაგიდა,* პირველ რიგში, ჩვენი აზრით, ჩაენაცვლა საგანი, რომელიც ზომით, ფორმით, სიდიდით, სიმაღლით იყო სხვა. ასეთ დროს ქართულს ან უნდა შეექმნა ამ ახალი საგნისთვის სახელი, საკუთარი ენობრივი მონაცემების გათვალისწინებით, ან უნდა ესესხა. ქართულმა ისესხა არაბული წარმომავლობის ***მაგიდა***. სხვა ქართველურმა ენებმაც ისესხეს: მეგრულმა და სვანურმა რუსული ***სტოლი*** (თუმცა სვანურში ორი სვანური სიტყვაც განვითარდა მაგიდის აღმნიშვნელად), ლაზურმა კი - ქართული ***მაგიდა.***

მეორე ასეთი წყვილიც შეიძლება დავასახელოთ. ეს გახლავთ **სარკმელი - ფანჯარა** ქართულისთვის. ფანჯარაც განსხვავდება სარკმლისგან, ჩვენ ორ სხვადასხვა საგანთან გვაქვს საქმე, ამიტომ ყველასათვის ცნობილია, რომ ქართულმა ისესხა სპარსულისგან **ფანჯარა.** მეგრულში არსებული **ორკე** და მისი სინონიმური ლექსიკური ერთეულები - **ოჭკორიე, ოსინთე** || **სასინთო** ო.ქაჯაიას, ა. ქობალიას, დ. ფიფიას და სხვათა ლექსიკონებში ყველგან განმარტებულია, როგორც **ღიობი, ღრიჭო,** საიდანაც სინათლე შემოდიოდა და კვამლი გადიოდა (ქაჯაია, 2002, 468; ფიფია, 2008, 36; ქობალია, 2010, 545; 557; 584); ამიტომ ისინი ვერ გაუტოლდებიან ფანჯარას. ფანჯრის აღსანიშნავად მეგრულმა აიღო რუსული **აკოშკა**, ლაზურმა - **ფენჯერე,** ხოლო სვანურში **არის ლაXვრა,** რაც ზედმიწევნით ხვრელს ნიშნავს; როგორც ჩანს, სვანეთში კოშკების არსებობამ ეს ლექსიკური ერთეული შეინარჩუნა, თუმცა ბალსქვემოურში რუსული **აკოშკაც** დასტურდება.

სტოლი, აკოშკა - ეს ლექსიკური ერთეულები ბარბარიზმებია ქართული სალიტერატურო ენისთვის, თორემ უმწერლობო ენისთვის, რომელიც სპონტანურ, ანუ წინასწარმოუმზადებელ, მეტყველებას ემყარება, ჩვეულებრივი ლექსიკური ერთეულებია, რომელთაც იყენებს არა მარტო საკომუნიკაციოდ, არამედ მათი მონაწილეობით ქმნის ზეპირსიტყვიერების ნიმუშებსაც.

ქართველური ენების **რელიგიური ლექსიკა** ქრისტიანულ მსოფლმხედველობას გამოხატავს, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ეროვნულ მსოფლმხედველობასთან; უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ისინი ფაქტობრივად ფარავენ ერთმანეთს. ქართველური ენების მონაცემების შედარებამ წარმოაჩინა როგორც წარმართობისდროინდელი, ასევე კულტურული კავშირების კვალიც და ამ ფონზე სალიტერატურო ენის როლი და გავლენის მასშტაბები.

რაკი წირვა-ლოცვისა და განათლების ენა ყველა ქართველური ტომისთვის არის ქართული, მოსალოდნელი იყო რელიგიური ლექსიკა ქართულის მიხედვით ყოფილიყო შექმნილი დანარჩენ ქართველურ ენებში, თუმცა, მონაცემთა შედარებამ წარმოაჩინა:

წარმართობისდროინდელი ლექსიკა, რომელმაც გვიან მიიღო ქრისტიანული დატვირთვა:

ქართული **ბზობა,** მეგრ. **ბაიობა** (წარმართობისდროინდელი სახელწოდებაა), ლაზური **ჩიმჩირიში ნდღა** (1-ლი სიტყვა თურქულიდანაა ნასესხები, ზედმიწევნით ბზის დღე), სვანური **ბზობ(ა)**;

ქართული **ნათლობაში** ჩადებულია წარმართობისდროინდელი *სინათლის კულტი,* ოღონდ ახალი აზრობრივი დატვირთვა აქვს შეძენილი. ამ შემთხვევაში ქართულის კვალს მიჰყვება მეგრული (მეგრულმა **ნათელ**-ფუძე ისესხა ქართულისგან): **ნათუა** (=ნათლობა), **ნანათა** (=ნათლული), მაგრამ ქართული **ნათლია**, მეგრული **მორდია** (მეგრული *ნათლიის* ცნებას აკავშირებს წარმართობისდროინდელ *მორდუობასთან).*

მეგრულში სინათლის წარმართული კულტი ჩანს აღდგომის ბრწყინვალე ქრისტიანული დღესასწაულის სახელდებაში: **თანაფა** (ზუსტი შესატყვისი **თენება**); ქართული **აღდგომა** ბერძნულის მიხედვითაა **შექმნილი: „ანასტასიოს“** -- ქრისტოლოგიური შინაარსი მისთვის მეორეულია.

საკუთრივ ქართულში შექმნილი ქრისტიანული შინაარსის ტერმინები, რაც კიდევ უფრო მეტად ზრდის ქართული სალიტერატურო ენის როლსა და გავლენის მასშტაბებს. ცალკე ჯგუფს ქმნის ის ლექსიკური ერთეულები, რომლებიც უცვლელად არის გადატანილი ქართულიდან სხვა ქართველურ ენებში:

სახარება, ბიბლია, ჯვარი (=ლაზური თურქული **ხაჩი**) **ხატი**

ფონეტიკურ ტრანსფორმაციას განიცდის: ქართული **პეტრე-პავლობა,** მეგრული **პერტობა,** ქართული **მთავარანგელოზი,** მეგრული **თარანგიოზი**, სვანური **თAრინგზელ** (ხუთენოვანი ლექსიკონი, 2015, 146).

ასევე ძალზე საინტერესოა იმის ჩვენება, სოციუმი როგორ ახდენს დიფერენცირებას რელიგიურ ტერმინსა და ჩვეულებრივ ყოფით რეალობაში გამოყენებეულ ლექსიკურ ერთეულს შორის, მაგ.: ქართული **მახარებელი** (რელიგიური ტერმინი), მეგრული **მახარებელი,** სვანური **მLხრNბ** (ლაზურში არ დადასტურდა რელიგიური ტერმინი მახარებელი). შდრ.: ქართული **მახარობელი,** მეგრული **მახარია,** ლაზური **მხელებუ,** სვანური **მLხI[ნე, მLხენე,** (ხუთენოვანი ლექსიკონი, 2015, 142).

რომ შევაჯამოთ ზემოთქმული, შეიძლება დავასკვნათ: ქართველური ლექსიკა, როგორც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა, ასახავს როგორც საერთოქართველურ მონაცემებს, ასევე ნასესხებ ლექსიკას. ორივე ფენა წარმოდგენილია ხუთენოვან - ქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანურ-ინგლისურ ლექსიკონში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ხუთენოვანი ლექსიკონი, 2015, – *ქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანურ-ინგლისური ლექსიკონი,* შემდგენლები: რ. ქურდაძე, დ. შონია, ლ. თანდილავა, ლ. ნიჟარაძე. ინგლისური ვერსია მომაზადა თ. გელაშვილმა. ექსპერტები: მ. ლომია, ო. მემიშიში, ქ. მარგიანი-სუბარი. ქართველური ნაწილის რედაქტორი ზ. ჭუმბურიძე, ინგლისური ნაწილის რედაქტორი ი. გველესიანი, გამომცემლობა „პეტიტი“, თბ. 2015 (ლექსიკონის “pdf” ვერსიისათვის იხილეთ: https://tsu.ge/data/image_db_innova/GEORGIAN-MEGRELIAN-LAZ-SVAN-ENGLISH%20DICTIONARY.pdf).
2. სარჯველაძე, ფეინრიხი, 1990 – ჰაინც ფენრიხი, ზურაბ სარჯველაძე, *ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი,* თსუ გამომცემლობა, 1990.
3. თანდილავა, 2013 – ა. თანდილავა, *ლაზური ლექსიკონი,* გამომცემლობა „საარი“, თბ., 2013.
4. ქაჯაია, 2002 -- ო. ქაჯაია, *მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II,* გამომცემლობა „ნეკერი“, თბ., 2002.
5. ფიფია, 2008 -- დ. ფიფია, *მეგრული სალექსიკონო მასალები,* კოლხური სერია 3, გამომცემლობა „არტანუჯი“, 2008.
6. ქობალია, 2010 -- ა. ქობალია, *მეგრული ლექსიკონი,* გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2010.